EUMM

დამკვირვებელი

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდული გამოცემა ·· გამოცემა #3 • დეკემბერი 2016

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცხელი ხაზი...

ამცირებს დაძაბულობას ტელეფონის საშუალებით

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა "ხელი შეუწყოს დაძაბულობის შემცირებას (კონფლიქ-ტის) მხარეებს შორის კავშირებისა და კონტაქტების დამყარებაში დახმარების გაწევისა და ნდობის აღდგენის სხვა ღონისძიებების მეშვეობით", როგორც ნათქვამია ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებაში მისიის შექმნის შესახებ.

პაველს სარიგინსი (მარცხნივ) და მიხალ ოსტაში (მარჯვნივ) ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირები არიან.

მისიის მიზანია უზრუნველყოს შეიარა-ღებული კონფლიქტის ნებისმიერი განახლების თავიდან აცილება და ხელი შეუწყოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსე-თის ადმინისტრაციული საზღვრების ორივე მხარეს მცხოვრები ადგილობრი-ვი მოსახლეობის უსაფრთხო და ნორმალური ცხოვრების აღდგენას.

ცხელი ხაზი

კონფლიქტის მხარეებს შორის ხშირი კომუნიკაცია ხელს უშლის ინციდენ-ტების ესკალაციას და აღადგენს ნდობას. იმისათვის, რომ მხარეებს შორის საიმედო და დაუყოვნებელი კომუნიკაცია შედგეს, მისიამ შექმნა და ამუშავებს ცხელი ხაზის მექანიზმს, რომელიც ყველა მხარეს უწყვეტი 24/7 კომუნიკაციის საშუალებას აძლევს.

ცხელი ხაზი ხელს უწყობს უსაფრთხოების სფეროში მოქმედი საქართველოს ხელისუფლების, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირების და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განლაგებული რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეების ხელმძღვა-ნელობის წარმომადგენლების კომუნიკაციას. ყველა ზემოთხსენებუ-ლი არის ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი.

ცხელი ხაზი არ წარმოადგენს პირდაპირ კავშირს. ნებისმიერი კომუნიკაცია მიმდინარეობს მისიის ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგე-ბელი პირის საშუალებით.

მისიის ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირის როლს მისიის მანდატის შესაბამისად და შეძლების-დაგვარად, - დაძაბულობის, პრობლემებისა და საკითხების მშვიდობიანი მოგვარების ხელშეწყობა წარმოადგენს.

ინციდენტების პრევენცია და მენეჯმენტი

იმ შემთხვევაში, თუ მოხდა დარღვე-ვები, ინციდენტები, ან გაჩნდა ადმი-ნისტრაციულ საზღვართან დაკავში-რებული საკითხები - ცხელი ხაზის მუშაობაზე ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი განმარტებისთვის მისიის ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელ პირს დაურეკავს. ეს არის ცხელი ხაზის გააქტიურება.

მისიის ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი შესაბამის პასუხისმგებელ პირს დაუკავშირდება ინფორმაციის, შეკითხვის ან პრობლე-მის გადასაცემად. ცხელი ხაზის თითოეული გააქტიურების შემდეგ მისია ჩანაწერს აკეთებს და ყველა ქმედება აღინიშნება.

უმეტეს შემთხვევაში მხარეს, რომელიც იღებს შეკითხვას ან ეცნობა პრობლემას, თავის ინსტანციებში საკითხის გასარკვევად დრო სჭირდება და როდესაც საკითხს გაარკვევს, გადმორეკავს.

იმ შემთხვევაში, თუ საკითხის გარკვევა გონივრული პერიოდის განმავლობაში ვერ ხერხდება, ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი რეკავს ცხელ ხაზზე და აცნობებს პასუხისმგებელ პირს, რომ პასუხი გვიანდება და რამდენ ხანში შესაძლებელი იქნება მისი მიღება. მას შემდეგ, რაც პასუხს მიიღებს, პასუხისმგებელ პირს გადასცემს.

ზოგიერთ შემთხვევაში, „საუბრები“ ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელ პირებს შორის რამდენიმე საათის ან დღის განმავლობაში გრძელდება, სანამ საკითხი დაიხურება.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირები

მისიას ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი ორი პირი ჰყვს, რომელთაგან თითოეული მას 24/7 განმავლობაში 7 ან 14 დღის მანძილზე ემსახურება. ორივე თავისუფლად ფლობს რუსულ ენას და აქვთ ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის საზღვრის დაცვის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს ოფიცრების პროფესიული გამოცდილება. ისინი საერთაშორისო საზღვრის დაცვის დეპარტამენტებში მსახურობდნენ და საზღვრის გადაღმა თანამშრომლობის სფეროში საველე გამოცდილება გააჩნიათ. ისინი მისიაში, როგორც წესი, მინიმუმ ორი წლის განმავლობაში, ხშირად უფრო ხანგრძლივადაც მუშაობენ. თუმცა მისიის ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირების თანამდებობის ოფიციალური დასახელება მეკავშირე ოფიცერია, ეს დასახელება თითქმის არ გამოიყენება.

ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირები

პირველი პასუხის გამცემები არიან

ცხელი ხაზის მექანიზმის მრავალმხრივი სტრუქტურა მისი მიღწევებისთვის გადამწყვეტია. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ძალიან ხშირად არიან ადამიანები, ვისზეც დამოკიდებულია სიტუაციების და ინციდენტების მშვიდობიანი მოგვარება.

მათი უნარი გაუმკლავდენ რთულ ვითარებას და ეფექტიანად გამოიყენონ ცხელი ხაზი განვითარებადი კრიზისის განსამუხტად სათანადო შეფასებას იმსახურებს.

ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელ თითოეულ პირს წვლილი შეაქვს საქართველოში გრძელვადიანი სტაბილურობის დამკვიდრების საქმეში.

ცხელი ხაზი არის ინსტრუმენტი, მაგრამ აღებულია ვალდებულება, საჭიროა მოთმინება და თანაგრძნობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ამ საშუალების ეფექტიანი გამოყენება.

ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირები არიან პირველი პასუხის გამცემები, როდესაც და სადაც ხდება ინციდენტი. მათი სამუშაო 24 საათიან ჩართულობას მოითხოვს, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ყოველ ჯერზე, როდესაც ცხელი ხაზი ამოქმედდება, პასუხი იყოს გაცემული. ყველანაირი კომუნიკაცია ინგლისურ და რუსულ ენებზე ხდება.

ცხელი ხაზი არ არის სპეციალური ტელეფონი. ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელ პირებს შორის კავშირისთვის კომერციულად ხელმისაწვდომი მობილური ტელეფონები გამოიყენება. ზოგიერთ შემთხვევაში, ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირები თანხმდებიან და კომუნიკაციას სკაიპით აწარმოებენ, ზოგი შემთხვევებისთვის კი ერთმანეთს ტექნიკურ შეხვედრებსა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში მოწყობილი შეხვედრების ფარგლებს გარეთ ხვდებიან.

ხაზი, რომელიც ყოველთვის პასუხობს

მისიის ცხელი ხაზი 24/7, 365 წელიწადში დღე მუშაობს. მას შემდეგ, რაც 2009 წლის მაისში პირველი შემომავალი ზარი განხორციელდა, ცხელი ხაზი თითქმის 4,700 ჯერ ამოქმედდა (2016 წლის ოქტომბრის მონაცემებით).

ცხელი ხაზის სტრუქტურა და მისი წარმომადგენლები



ინციდენტების მოგვარება

წლების განმავლობაში ცხელი ხაზის საშუალებით მოგვარებული ინციდენტები სამხედრო ტყვეების გაცვლის კოორდინაციიდან ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტით (მაგალითად, დაკარგული პირუტყვის ადმინისტრაციულ საზღვრის ერთი მხარედან მეორეზე დაბრუნებით) შეიცვალა. თქვენს წინაშე არის ცხელი ხაზი გააქტიურების ყველაზე გავრცელებული მაგალითები.

გადასვლასთან დაკავშირებული დაკავებები

ფიზიკურ პირებს შეუძლიათ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან და პირიქით ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთა კონტროლირებად გამტარ პუნქტებში, იმ პირობით, თუ მოქმედი სამგზავრო დოკუმენტი გააჩნიათ. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული საზღვრის სხვაგან - განზრახ ან შემთხვევით გადაკვეთა - ცხინვალსა და სოხუმში განლაგებული უსაფრთხოების სფეროში მოქმედი უწყებების მიერ დაკავებას იწვევს. დაკავებათა უმეტეს შემთხვევებში ცხელი ხაზი ამოქმედდება იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს დაკავებულის სწრაფ გათავისუფლებას და უსაფრთხო დაბრუნებას.

სამედიცინო გადასვლები

საქართველო მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ყველა მოქალაქეს ჯანდაცვითა და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებს თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე შეუძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ უფასო სამედიცინო მომსახურების მიღება. ამ მიზეზის გამო და გარკვეული სამედიცინო მომსახურების მისაღებად ბევრი პაციენტი ადმინისტრაციულ საზღვარს კვეთს. უმეტეს შემთხვევებში ცხელი ხაზი ამოქმედდება, რათა ხელი შეუწყოს სამედიცინო გადაკვეთას და ადმინისტრაციულ საზღვარზე ტრანსპორტირებას კოორდინაცია გაუწიოს.

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ინციდენტები

ადმინისტრაციულ საზღვარზე ან მის მახლობლად სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ინციდენტები ხშირად ხდება. ეს შეიძლება იყოს დაკავშირებული ადმინისტრაციულ საზღვართან პირუტყვის გადასვლასთან, ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეზე განლაგებულ სარწყავ არხებთან, ჯონჯოლის და კაკლის კრეფასთან, შეშის მოჭრასთან ან მიწის დამუშავებასთან ადმინისტრაციულ საზღვართან. ასეთი შემთხვევები სეზონურია და ყოველწლიურად მეორდება. სეზონის განმავლობაში ცხელი ხაზი ხშირად აქტიურდება კონკრეტული პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტის ხელშესაწყობად. ზოგიერთ შემთხვევაში, ცხელი ხაზის გააქტიურება ასევე იწვევს მისიის საპატრულო ჯგუფის გამოგზავნას ადგილზე არსებული მკაფიო სურათის გამოსავლენად.

უსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობა

ზოგჯერ, ცხელი ხაზი ამოქმედდება ადმინისტრაციულ საზღვართან მომხდარი ინციდენტის ან ისეთი აქტივობის გამო, რომლის შესახებ წინასწარი შეტყობინება არ იყო გამოგზავნილი, როგორიცაა მაგალითად სროლები და აფეთქებები ან საჰაერო ქმედებები. თუმცა, დროთა განმავლობაში, უსაფრთხოების სფეროში ორივე მხარეს მოქმედმა უწყებებმა ადმინისტრაციულ საზღვართან სიახლოვეს მათი საქმიანობის, მანევრების და კოლონების შესახებ წინასწარი შეტყობინების პრაქტიკა შეიმუშავეს. ამ ინფორმაციას მეორე მხარისთვის გადასაცემად შესაბამისი ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი მისიის ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელ პირს ატყობინებს.

სხვა სახის ინციდენტები

ეს არის ცხელი ხაზის გააქტიურება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ე.წ. „ბორდერიზაცია“ (დემარკაციის ფიზიკური ნიშნები ადგილზე), ადმინისტრაციული საზღვრის სკოლის მოსწავლეების მიერ გადაკვეთა, უსაფრთხოების სფეროში მოქმედი უწყებების ფორმიანი წარმომადგენლების მიერ ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთა, ნაღმები და აუფეთქებელი ჭურვები, დაკარგული პირები, ადმინისტრაციულ საზღვართან დაკავშირებული დანაშაულებრივი ქმედებები და შეკრებები (მაგალითად, დემონსტრაციები) ადმინისტრაციულ საზღვართან.

საკითხების გადაწყვეტა პირისპირ

თუმცა დიალოგების უმრავლესობა ტელეფონით ხდება, არსებობს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მხარეების ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირების შეხვედრა პირისპირ ხდება.

ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირები ადგილზე ესწრებიან ტექნიკურ შეხვედრებს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან დაკავშირებულ საკითხებზე.

ეს შეხვედრები ეწყობა, ხშირად ძალიან ხანმოკლე შეტყობინების საფუძველზე, როგორც სწრაფი რეაგირება ადმინისტრაციულ საზღვარზე ან მის მახლობლად წამოჭრილ კონკრეტულ საკითხებზე. ისინი ხელს უწყობს ისეთი პრობლემების პრაგმატულ გადაჭრას, რომელიც ეხება ირრიგაციას, პატრულირების ჩატარების მახასიათებლებს, ადმინისტრაციულ საზღვარზე არსებული ღობეების ნაწილების ქურდობას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

შეხვედრები იმართება ფაქტობრივი ინციდენტის ადგილზე ან ერგნეთის კონტროლირებად გამშვებ პუნქტში სამხრეთ ოსეთსა და თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიას შორის.

ასეთ შეხვედრებს შეიძლება ესწრებოდეს 10-ზე მეტი მონაწილე, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის, სამხრეთ ოსეთის / ცხინვალის, რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეების და მისიის ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირები. მისიას, როგორც წესი, წარმოადგენენ მისიის ხელმძღვანელი, ოპერაციების განყოფილების უფროსი, ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი და ასევე შესაბამისი რეგიონალური (გორის ან მცხეთის) ოფისის წარმომადგენელი.

პირისპირ გამართული შეხვედრების საერთო მიზანია ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მშვიდი და წყნარი სიტუაციის შენარჩუნება და მონაწილეებს შორის ნდობის გამყარება, რაც მისიის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

დამკვირვებელი, გამოცემა #3, დეკემბერი 2016
„დამკვირვებელის“ ეს გამოცემა ეძღვნება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ დაფუძნებულ ცხელი ხაზის მექანიზმს.
მთავარი რედაქტორი: ჯონ დურნინი.
სარედაქციო კოლეგია: ჰასსე რესენბრო, კაუპო კანდი და უილიამ ბოიდი.

მექანიზმი, რომელიც მუშაობს

2009 წელს ცხელი ხაზის 33 გააქტიურებისგან შემდგარი მოკრძალებული დასაწყისიდან, ცხელი ხაზის გამოყენება სტაბილურად იზრდებოდა და 2016 წელს დღეში საშუალოდ ხუთ გააქტიურებას მიუახლოვდა. ძნელია დავასკვნათ, სიხშირის გაზრდა გამოწვეულია გახშირებული ინციდენტებით თუ მხარეების გაზრდილი ნებით აიცილოს და მოაგვაროს ინციდენტები. მნიშვნელოვანია, რომ ცხელი ხაზი მხარეთა მიერ რეაგირებისა და პოტენციური კონფლიქტების განსამუხტად გამოიყენება. ეს არის მექანიზმი, რომელიც მუშაობს.

2011 წლიდან 2016 წლის ოქტომბრამდე ცხელი ხაზის 4,517 გააქტიურება





ცხელი ხაზის ადრეული თვეები

პირველი მრავალთა შორის
ინფორმაცია ცხელი ხაზის ადრეული ისტორიის შესახებ მოგვაწოდა ბ-მა რინას ბენჯუსმა, რომელიც 2008 წლის 21 სექტემ-ბრიდან 2011 წლის 11 სექტემბრამდე იყო მისიის ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი (პირველი მეკავშირე ოფიცერი).

2008 სექ

2008 წლის 21 სექტემბერს მისიამ მოიწვია ცხელი ხაზის მუშაობაზე მომავალი ორი პირველი პასუხისმგებელი პირისგან ერთ-ერთი მეკავშირე ოფიცრის (ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირის) მოვალეობათა აღწერის შესაქმნელად.

2008 ოქტ

პირველმა ორმა მეკავშირე ოფიცერმა მუშაობა მისიის სათავო ოფისში დაიწყო. მათ ერთ-ერთ პირველ ამოცანას **სამხედრო ტყვეების გათავისუფლებისა და გაცვლის ხელშეწყობა წარმოადგენდა**. არ არსებობდა კომუნიკაციის შეთანხმებული ფორმატი და სატელეფონო კონტაქტები არარეგულარული იყო, მაგრამ მექანიზმი მუშაობდა. ასევე, როგორც ადგილზე არსებული ორგანიზაციებიდან ყველაზე ნეიტრალურად აღიარებული, მისია ამის შემდეგ მალე ხდება სამხედრო ტყვეების გაცვლის ფაქტიური მედიატორი.

2008 ნოემ

მიუხედავად მისიის მეკავშირე ოფიცრების ინტენსიური მუშაობისა მხარეებს შორის კონტაქტების ხელშესაწყობად, ცხელი ხაზი არ არის დამკვიდრებული და ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირები ჯერ ოფიციალურად არ დანიშნულან. შესაბამისად, ტელეფონს ყოველ ჯერზე არ პასუხობენ. ვითარება დაძაბულია და **რამდენჯერმე მოდის შეტყობინებები ყალბი ინციდენტების** შესახებ, რომ მისიამ საპატრულო ჯგუფები მხარეების ინტერესის სფეროებში მყოფი ადგილებიდან მოშორებით გაგზავნოს. შესაბამისად, ცხელი ხაზის, როგორც დაძაბულობის შემამცირებელი მექანიზმის ნდობა დიდი არ არის.

2008 დეკ

მისიის ხელმძღვანელს კვლავ აქვს ცხელი ხაზის განვითარებადი მექანიზმის დიდი ნდობა მიუხედავად იმისა, რომ იგი მხარეებს შორის კონტაქტების ხელშესაწყობად **ძლიერ ნერვებს მოითხოვს**. საკომუნიკაციო სისტემები არის დაზიანებული ან არასაიმედო და მისიის ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელმა პირებმა ყოველი სიტყვა ფრთხილად უნდა აწონ-დაწონონ, რადგან იციან, რომ მყიფე ცეცხლის შეწყვეტა უბრალო გაუგებრობის გამო შეიძლება საფრთხეში ჩავარდეს.

2008 დეკ

2009 იან

გასული თვეების განმავლობაში მისიის ხელმძღვანელი და მისიის მეკავშირე ოფიცრები შეხვდნენ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში ჩართულ წარმომადგენლებს. **შეხვედრები ღია ცის ქვეშ "ნეიტრალურ ზონაში"** ერგნეთთან პოზიციებს შორის გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა, როგორც ჩანს, მეტად აღიარეს ინციდენტების მართვისა და დაპირისპირებების განმუხტვის უფრო ფორმალიზებული ფორმატის ღირებულება.

2009 თებ

ჟენევაში **მონაწილეებმა "ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ერთობლივი მექანიზმის" პირველი წინადადებები განიხილეს**. დაიგეგმა ყოველკვირეული შეხვედრების ჩატარება. თუმცა, გადაწყდა, რომ "შეხვედრებს შეიძლება წინ უძღოდეს მხარეებს შორის "ცხელი ხაზის" მეშვეობით დამყარებული კონტაქტები ", და რომ "ასეთი "ცხელი ხაზი" 24-საათიან რეჟიმში უნდა მუშაობდეს".

2009 მარ

დამკვიდრდა ცხელი ხაზი - მაშინ მოხსენიებული, როგორც ინციდენტების პრევენციის მექანიზმის ცხელი ხაზი. თავდაპირველად იყო მხოლოდ სამი ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რუსეთის ფედერაციის სამხედროების და მისიის წარმომადგენლები. დასავლეთ საქართველოში უსაფრთხოების სფეროში მოქმედი უწყებები ჯერ არ არის დაკავშირებული ცხელ ხაზთან.

2009 აპრ

ცხელი ხაზის გამოყენება თანდათან ძალას იკრებს. ცხელი ხაზის გააქტიურების რეგისტრირებისა და ჩაწერის პროცესი ჯერ არ მიმდინარეობს.

2009 მაის

ცხელი ხაზის გააქტიურების პირველი ჩანაწერი 2009 წლის 15 მაისს 17:45 სთ. იწყება, როდესაც ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელმა პირმა დარეკა, რათა შეეტყობინებინა, რომ ადმინისტრაციული საზღვრის მოპირდაპირე მხარეს საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან გამოჩნდა სამი შენიღბული და შეიარაღებული პირი კონფრონტაციული ქცევით. ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელმა პირმა სთხოვა მისიის ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელ პირს დახმარება სიტუაციის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად.

მაგალითი...

როგორ გამოიყენება ცხელი ხაზი

ცხელი ხაზი გამოიყენება სხვადასხვა ინციდენტების მოსაგვარებლად, რომელთაგან ზოგიერთი დაკავების შემთხვევებს ეხება. ქვემოთ მოყვანილი მაგალითი აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას ცხელი ხაზი, რათა ასეთ შემთხვევაში ხელი შეუწყოს დაკავებულთა გათავისუფლებას; იგი შესაბამის ვადებსაც გვაჩვენებს. ეს შემთხვევა, ისევე, როგორც მასში ნახსენები პირები, გამოგონილია. არ უნდა გაკეთდეს არანაირი იდენტიფიკაცია რეალურ პირებსა და ადგილებთან.

18:48 ცხელი ხაზი გააქტიურდა ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი ერთ-ერთი პირის მიერ (წარმომადგენელი # 1), რომელმაც მისიის ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელ პირს სთხოვა ცხელი ხაზის მეშვეობით დაკავშირებოდა ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელ პირს მეორე მხრიდან (წარმომადგენელი # 2) ორი მოზარდის გათავისუფლების მოითხოვნით. მოზარდები, სავარაუდოდ, იმავე დღეს უფრო ადრე დააკავეს მას შემდეგ, რაც ისინი ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს მდინარეში ცურავდნენ.

19:06 მისიის ცხელი ხაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი დაუკავშირდა # 2 წარმომადგენელს, რომელიც დაპირდა, რომ გაარკვევს, დააკავეს თუ არა მოზარდები.

20:24 # 2 წარმომადგენელი ადასტურებს, რომ დაკავებულია ორი ადამიანი, რომელთაგან ერთი არასრულწლოვანია. დაკავებულთა გათავისუფლება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დრო დასჭირდება # 1 წარმომადგენელს მზაობისთვის, რომ დაკავებულთა პირადობის დამადასტურებელი საბუთები წარმოადგინოს.

20:38 # 1 წარმომადგენელი ადასტურებს, რომ დაკავებულთა ვინაობის დამადასტურებელი საბუთები მზად არის წარმოსადგენად.

20:42 # 2 წარმომადგენელი ადასტურებს, რომ არასრულწლოვანი დაკავებულის გათავისუფლება შეიძლება ერთ-ერთ გამშვებ პუნქტში მალე მოხდეს. იგი ასევე იუწყება, რომ შესაძლებელია მეორე დაკავებულის გათავისუფლებაც, თუ ორივეს პირადობის დამადასტურებელი საბუთები ერთდროულად იქნება წარმოდგენილი. ეს ინფორმაცია # 1 წარმომადგენელს გადაეცემა.

20:48 # 2 წარმომადგენელი რეკავს ინფორმაციის მოსაწოდებლად, რომ არასრულწლოვანი დაკავებული გადასაცემად მზად იქნება შეთანხმებულ გადაკვეთის პუნქტში, 21:30 საათზე. # 1 წარმომადგენელი ადასტურებს, რომ დაკავებული იქნება შესაბამისად მიღებული.

21:59 # 1 წარმომადგენელი რეკავს ინფორმაციის მოსაწოდებლად, რომ არასრულწლოვანი უკვე მიღებულია და თანამშრომლობისათვის მადლობას იხდის.

17:01 **დღე მე-2** # 2 წარმომადგენელი რეკავს მეორე დაკავებულის გადაცემის მოსაგვარებლად გადაკვეთის პუნქტში, 18:00 საათზე. ეს ინფორმაცია გადაეცემა # 1 წარმომადგენელს.

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ამჟამად ევროკავშირის ერთადერთი მოქმედი მისიაა, რომელიც სპეციფიურად დაკვირვებაზეა მიმართული. 2016 წლის 12 დეკემბერს ევროპის საბჭომ მისიის მანდატი 2018 წლის 14 დეკემბრამდე გააგრძელა. 2015 წლის იანვრიდან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი არის კიასტუტის იანკაუსკასი (ლიტვა). ადრე ამ თანამდებობაზე მოღვაწეობდნენ ტოივო კლაარი (ესტონეთი), ანდჟეი ტიშკევიჩი (პოლონეთი), და ჰანსიორგ ჰაბერი (გერმანია).

ამ პერიოდულ გამოცემას საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია გამოსცემს

- კონტაქტი: press@eumm.eu
- ჯონ დურნინი, პრესსპიკერი: john.durnin@eumm.eu
- ჰასსე რესენბრო, პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელი: hasse.resenbro@eumm.eu

იხილეთ: http://www.eumm.eu & www.facebook.com/eumm.geo

EUMM